საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების შესარჩევი

საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი №1

ქ. ბათუმი 14 იანვარი 2020

სხდომას ესწრებიან:

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 იანვრის №01-02/01 ბრძანებით: „ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“

საკონკურსო კომისიის წევრები:

1. თამარ სირაძე - ბსუ-ს რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში (კომისიის თავმჯდომარე);
2. გოჩა სურგულაძე - ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი (კომისიის მდივანი);
3. ედიშერ ჩავლეიშვილი - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის უფროსი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
4. ნინო ინაიშვილი - ბსუ-ს მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;
5. რევაზ ოკუჯავა - ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი;
6. პაატა არუშიძე - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი, ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
7. მიხეილ კოპლატაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის, საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირების სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

საკონკურსო კომისია (კომისიის წევრები) გაეცნო ელექტრონულ პორტალზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას: პროექტის აღწერა, CV (ავტობიოგრაფია), სარეკომენდაციო წერილებს, ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ და სხვ დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციას. მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის

სისრულის შემოწმება (კონკურსის ძირითად პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით).

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ თამარ სირაძემ განმარტა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის შესაბამისად უნდა შევისწავლოთ საკონკურსო დოკუმენტაცია და დავადგინოთ, არის თუ არა წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრული და კონკურსის ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა:

კომისიის მდივანმა გოჩა სურგულაძემ აღნიშნა, რომ სულ შემოსულია 13 განაცხადი, მათ შორის:

N	**პროექტის დასახელება**	**სახელი გვარი**	**ორგანიზაცია/ჯგუფი**
1	მართვადი პროგრამირებადი მულტიფუნქციური ელექტრონული დაფა	თორნიკე ლასურიძე	
2	„დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა სტუდენტებისთვის/Emloyment Facilitation Program For Students“	მარიკა ხოზრევანიძე	
3	პირველადი დახმარება ყველგან და ყველასთვის	ნინო გორგილაძე	
4	ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სკოლა	მარიამ ირემაძე	საინიციატივო ჯგუფი - საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტები : გიორგი ბერიძე(IV კურსი) ; ნოდარ დიასამიძე (IV კურსი) ; ნათია პაქსაძე (IV კურსი); III კურსი - გიორგი ბროლაძე; ნიკა გორგილაძე; გიორგი შავაძე; მარიამ ირემაძე;
5	საქართველოს ისტორიული კუთხის - ტაო-კლარჯეთის ელექტრონული ტურისტული გზამკვლევის შექმნა	მარიამ ნაჭყებია	მამანისა
6	თანამედროვე მასწავლებელი	ნინიკო კოსოლიძე	თანაავტორი: დავით ბალაძე
7	QB ბიბლიოთეკა	ნინო ცინცაძე	QB library (ანა სურმანიძე, ნინო ცინცაძე).
8	ახალგაზრდა სტარტაპერთა	შალვა ილარიშვილი	ახალგაზრდა

	კლუბი		საზოგადოება
9	ეკონომიკური დებატები ბსუ 2020	ნესტან ვარშანიძე	
10	BIRDS Workshop/BIRDS სამუშაო შეხვედრები	სალომე აბულაძე	
11	სტარტაპერთა კვირეული	შალვა ილარიშვილი	ახალგაზრდა საზოგადოება
12	„გადააზრების კვირეული“	ავთანდილ დიასამიძე	"სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება - ბსუ"
13	გადააზრების კრიტიკული ზღვარი	არჩილ ბერიძე	სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება - ბსუ

კომისიის თავმჯდომარემ, თამარ სირაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი 13 პროექტიდან მხოლოდ 11 პროექტის დოკუმენტაცია არის შესაბამისობაში კონკურსის მოთხოვნებთან, კერძოდ: ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის №01-08/39 ბრძანებასთან: „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ და ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 აპრილი №01-11/151 ბრძანებასთან: „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაცია და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების შესახებ“.

2 პროექტი: „სტარტაპერთა კვირეული“ (პროექტის ავტორი: შალვა ილარიშვილი) და „ახალგაზრდა „სტარტაპერთა კლუბი“ (პროექტის ავტორი: შალვა ილარიშვილი) მოიხსნა კონკურსიდან ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 აპრილი №01-11/151 ბრძანების - „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაცია და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების შესახებ“ საფუძველზე. შესაბამისი ბრძანების მე-8 ნაწილის მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, კერძოდ: „პროექტში ტრენერის, ექსპერტის და/ან სხვა პირის მოწვევის საჭიროების შემთხვევაში, საპროექტო განაცხადთან ერთად, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იქნას მოსაწვევი პირის CV-ი და პროექტში მონაწილეობის შესახებ მისი თანხმობის წერილი“.

კომისიის წევრებმა: თამარ სირაძემ, გოჩა სურგულაძემ, ედიშერ ჩავლეიშვილმა, ნინო ინაიშვილმა, რევაზ ოკუჯავამ, პაატა არაშიძემ და მიხეილ კოპლატაძემ აღნიშნეს, რომ უკვე გაეცნენ წარმოდგენილ პროექტებს, თუმცა მიზანშეწონილად მიიჩნიეს თითოეული კონკურსანტის საპროექტო განაცხადის ერთად განხილვა და შემდგომ შეფასება.

კომისიის თითოეულმა წევრმა ინდივიდუალურად შეაფასა კონკურსანტი, დადგენილი შეფასების კრიტერიუმებისა და ქულების მიხედვით.

კომისიამ შეაჯამა მიღებული შედეგები, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროექტებიდან 31 ქულა გადალახა 6-მა პროექტმა:

N	პროექტის დასახელება	ავტორის სახელი გვარი	ორგანიზაცია/ჯგუფი	საშუალო არითმეტიკული ქულა
1	ეკონომიკური დებატები ბსუ 2020	ნესტან ვარშანიძე		**48,7**
2	QB ბიბლიოთეკა	ნინო ცინცაძე	QB library (ანა სურმანიძე, ნინო ცინცაძე).	**45,1**
3	მართვადი პროგრამირებადი მულტიფუნქციური ელექტრონული დაფა	თორნიკე ლასურიძე		**45**
4	გადააზრების კრიტიკული ზღვარი	არჩილ ბერიძე	სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება - ბსუ	**41,9**
5	პირველადი დახმარება ყველგან და ყველასთვის	ნინო გორგილაძე		**41.6**
6	თანამედროვე მასწავლებელი	ნინიკო კოსოლიძე	თანაავტორი დავით ბალაძე	**38.8**
7	„გადააზრების კვირეული“	ავთანდილ დიასამიძე	"სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება - ბსუ"	29.9
8	„დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა სტუდენტებისთვის/Emloyment Facilitation Program For Students“	მარიკა ხოზრევანიძე		29.4
9	ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სკოლა	მარიამ ირემაძე	საინიციატივო ჯგუფი - საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტები : გიორგი ბერიძე(IV კურსი) ; ნოდარ დიასამიძე (IV კურსი) ; ნათია პაქსაძე (IV კურსი); III კურსი - გიორგი ბროლაძე; ნიკა გორგილაძე; გიორგი შავაძე; მარიამ ირემაძე;	28,9
10	BIRDS Workshop/BIRDS სამუშაო შეხვედრები	სალომე აბულაძე		28.4
11	საქართველოს ისტორიული კუთხის - ტაო-კლარჯეთის	მარიამ ნაჭყებია	მამანისა	23,6

	ელექტრონული ტურისტული გზამკვლევის შექმნა			
12	სტარტაპერთა კვირეული	შალვა ილარიშვილი	ახალგაზრდა საზოგადოება	მოიხსნა კონკურსიდან
13	ახალგაზრდა სტარტაპერთა კლუბი	შალვა ილარიშვილი	ახალგაზრდა საზოგადოება	მოიხსნა კონკურსიდან

კომისიამ ერთხმად დაადგინა 6 გამარჯვებული პროექტი, ესენია:

1. **„ეკონომიკური დებატები ბსუ 2020“** - პროექტის ავტორი: **ნესტან ვარშანიძე,** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი: **5387 ლარი (387 ლარი თანადაფინანსება);**
2. **„QB ბიბლიოთეკა“** - პროექტის ავტორი: **ნინო ცინცაძე,** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი: **1680 ლარი;**
3. **„მართვადი პროგრამირებადი მულტიფუნქციური ელექტრონული დაფა“** - პროექტის ავტორი: **თორნიკე ლასურიძე,** ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის, ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი: **5000 ლარი;**
4. **„გადააზრების კრიტიკული ზღვარი“** - პროექტის ავტორი: **არჩილ ბერიძე,** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი: **4660 ლარი;**
5. **„პირველადი დახმარება ყველგან და ყველასთვის“** - პროექტის ავტორი: **ნინო გორგილაძე,** საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ბიუჯეტი: **4400 ლარი;**
6. **„თანამედროვე მასწავლებელი“** - პროექტის ავტორი: **ნინიკო კოსოლიძე,** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ინგლისური ფილოლოგის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ბიუჯეტი: **5000 ლარი;**

დაადგინეს:

საკონკურსო კომისიის კენჭისყრის საფუძველზე მიღებული შედეგები საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ და მდივანმა ასახოს კომისიის შემაჯამებელ ოქმში.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: თამარ სირაძე / _____

საკონკურსო კომისიის მდივანი: გოჩა სურგულაძე / _____